



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2019 წლის 13 მარტი

ქ. თბილისი

დისციპლინური საქმე №97/18

მოსამართლე -- -- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- (წარმომადგენელი) 2018 წლის 28 მარტის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 5 სექტემბრის №97/18 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 13 მარტის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

**1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:**

საჩივრის ავტორი -- -- , მის მიერ წარმოდგენილ საჩივარში აღნიშნავს, რომ მოსამართლე -- -- მას არ დაუკმაყოფილა არც ერთი წარდგენილი შუამდგომლობა, რაც მეტყველებს მის ტენდენციური დამოკიდებულებასა და მოსარჩელე მხარისადმი მხარდაჭერაზე. ამასთან, ერთ-ერთ სხდომაზე იშუამდგომლა სხდომის გადადების თაობაზე, ვინაიდან თავს გრძნობდა ცუდად, თუმცა მოსამართლემ სხდომა არ გადადო და არც სასწრაფო სამედიცინო დახმარება გამოიძახა.

## **2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

2017 წლის 19 სექტემბერს -- -- სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის -- -- მიმართ, განქორწინებული და ცალკე მცხოვრები მშობლის არასრულწლოვანი შვილისადმი უფლებებისა და მოვალეობების უკანონოდ ხელყოფის აღკვეთაზე.

მოპასუხეს სარჩელი ჩაბარდა 2017 წლის 27 სექტემბერს, ხოლო შესაგებელი წარმოადგინა 2017 წლის 4 ოქტომბერს.

-- -- მიერ ჩატარდა რამდენიმე მოსამზადებელი სხდომა (8.12.2017; 5.02.2018; 12.03.2018; 2.04.2018).

მიმდინარე სხდომებზე მოპასუხის წარმომადგენელმა -- -- წარადგინა არაერთი შუამდგომლობა (მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ; მოსამართლის აცილების შესახებ; მოწმის მოწვევის შესახებ;), რომლებიც არ დაკმაყოფილდა.

2018 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით, -- -- სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; -- -- არასრულწლოვანი შვილის, 2011 წლის 29 დეკემბერს დაბადებულ -- -- ურთიერთობის წესი განესაზღვრა შემდეგნაირად: პირველი - სამი თვე: ყოველი კვირის შაბათი და კვირა დღის 10 საათიდან 18 საათამდე არასრულწლოვანი შვილის (მისი საცხოვრებელი ადგილიდან) წაყვანის უფლებით და 18 საათზე დედის საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების ვალდებულებით; სამი თვის შემდეგ (შესაძლოა მანამდეც) არასრულწლოვანი -- --, მამასთან დარჩენის სურვილის შემთხვევაში, შვილის, ყოველი თვის, ყოველი კვირის პარასკევს, სასწავლო პროცესის დამთავრების შემდეგ, მისი საცხოვრებელი ადგილიდან წაყვანის უფლებით და კვირას 20 საათზე დედის საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების ვალდებულებით; ზაფხულის და ზამთრის არდადეგების პერიოდში, არასრულწლოვანი შვილის სურვილისა და საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, 2.2 პუნქტით დადგენილი განრიგი შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა -- --. საქმის განხილვა მიმდინარეობს -- სააპელაციო სასამართლოში.

## **3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:**

**3.1.** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ

გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის თანახმად, „სასამართლოში საქმის განხილვისას შუამდგომლობა სასამართლოს წარედგინება წერილობითი ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე ახალი არსებითი გარემოების საფუძველზე შუამდგომლობას დააყენებს სასამართლო სხდომაზე“. „მხარეთა და მათ წარმომადგენელთა შუამდგომლობები და განცხადებები ახალ მტკიცებულებათა წარმოდგენის ან გამოთხოვის შესახებ სასამართლომ შეიძლება განიხილოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმის მოსამზადებელ სტადიაზე მხარეს არ შეეძლო მათი წარმოდგენა, აგრეთვე თუ მათ შესახებ მისთვის ობიექტური მიზეზებით ვერ იქნებოდა ცნობილი და მათი წარმოდგენის საფუძველი წარმოიშვა მთავარ სხდომაზე, ან თუ მხარემ საპატიო მიზეზით ვერ უზრუნველყო შესაბამისი შუამდგომლობებისა და განცხადებების წარმოდგენა საქმის მოსამზადებელ სტადიაზე.“ უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლე -- -- შუამდგომლობების (მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ; მოსამართლის აცილების შესახებ; მოწმის მოწვევის შესახებ;) დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საოქმო განჩინების მიღებისას მოქმედებდა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ფარგლებში და შესაბამისი საკითხების შეფასება მის უფლებამოსილებას წარმოადგენდა, შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად მიღებული განჩინების კანონიერებაზე.

**3.2.** საჩივრის ავტორი, -- -- დამატებით აღნიშნავს, რომ ერთ-ერთ სხდომაზე გახდა შეუძლოდ, რის გამოც იშუამდგომლა სხდომის გადადების თაობაზე, თუმცა მოსამართლემ საქმის განხილვა არ გადადო სხვა დროისთვის და არც სასწრაფო სამედიცინო დახმარება გამოიძახა.

2018 წლის 12 მარტის სხდომის ოქმის აუდიო ჩანაწერის დეტალური მოსმენის შედეგად გამოვლინდა, რომ სასამართლო სხდომა მიმდინარეობდა დაძაბულ რეჟიმში, მხარის (-- --) ყვირილისა და მოსამართლისადმი უხეში მიმართვის ფონზე. მას შემდეგ, რაც მოსამართლე -- -- მხარეებს განუცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ მათ არ ჰქონდათ სხვა სახის შუამდგომლობა, მოსამზადებელი სხდომა გადაიზრდებოდა მთავარ სხდომაში, მოპასუხის წარმომადგენელი -- -- ყველა გზით ცდილობდა არ დაეშვა აღნიშნული, მან სხდომაზე წამოიყვინა, „არ გადავა“, ხოლო ამის შემდეგ მოსამართლეს დაემუქრა: „გადადით, კი ბატონო და ნახავთ მერე რა მოყვება მაგას“. პროცესის მიმდინარეობისას აშკარად გამოიკვეთა, რომ მხარის შუამდგომლობა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ექიმის გამოძახებისა და პროცესის გადადების თაობაზე, მიმართული იყო საქმის განხილვის გაჭიანურებისკენ, რასაც მოყვა მოსამართლის მიმართვა -- -- მიმართ პროცესის დატოვების და სხდომის წარმომადგენლის გარეშე გაგრძელების შესაძლებლობის თაობაზე. ამდენად, მოსამართლის მხრიდან რაიმე სახის დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

#### **4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, 2019 წლის 13 მარტის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით) მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

დისციპლინურ საქმეზე N97/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი